KA020136376153117

საქართველოს
ეკონომიკისა და მდგრადი
განვითარების
სამინისტრო

MINISTRY OF ECONOMY
AND SUSTAINABLE
DEVELOPMENT OF
GEORGIA

0108 თბილისი, ჭოველიძის ქ. №10ᵃ (ყოფილი ბელინსკი)
10ᵃ, Chovelidze str., 0108 Tbilisi, Georgia

Tel.: (+995 32) 2 99 11 05
Tel.: (+995 32) 2 99 11 11

№ 25/8612 **14 / დეკემბერი / 2017 წ.**

ფრიად სასწრაფო

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს

საქართველოს სოფლის მეურნეობის
სამინისტროს

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების
სამინისტროს

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის
სამინისტროს

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის
საქმეთა სამინისტროს

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი
რესურსების დაცვის სამინისტროს

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის სამინისტროს

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და
ინფრასტრუქტურის სამინისტროს

გაცნობებთ, რომ 2018 წლის იანვრის ბოლოს ქ. მინსკში (ბელარუსის რესპუბლიკა) დაგეგმილია საქართველო-ბელარუსის ეკონომიკური თანამშრომლობის მთავრობათაშორისი კომისიის მე-4 სხდომის გამართვა, რომელსაც საქართველოს მხრიდან უხელმძღვანელებს პირველი ვიცე-პრემიერი, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი ბატონი დიმიტრი ქუმსიშვილი, ხოლო ბელარუსის მხრიდან პრემიერ-მინისტრის მოადგილე ბატონი მიხაილ რუსი.

აღნიშნულის გათვალისწინებით, დანართის სახით გიგზავნით ბელარუსის მხარის მიერ შემუშავებულ კომისიის

მე-4 სხდომის ოქმის პროექტს და გთხოვთ, 2017 წლის 26 დეკემბრამდე, მოგვაწოდოთ თქვენი უწყების შენიშვნები და წინადადებები პროექტთან მიმართებაში (რუსულ ენაზე) და საქართველოს მხარის შემადგენლობაში შეყვანის მიზნით, წარმოადგინოთ კომისიის წევრისა და ექსპერტის კანდიდატურები, მათი საკონტაქტო მონაცემებით (ტელეფონი, ელ. ფოსტა). ამასთანავე, წერილზე თანდართული ცხრილის შესაბამისად გთხოვთ, მოგვაწოდოთ განახლებული ინფორმაცია ამავე კომისიის მე-3 სხდომის ოქმით გათვალისწინებული საკითხების შესრულების მდგომარეობის თაობაზე.

ასევე გაცნობებთ, რომ ზემოხსენებული კომისიის პასუხისმგებელ მდივნად წარდგენილია ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მეზობელ ქვეყნებთან და რეგიონის სხვა ქვეყნებთან ვაჭრობის განვითარების სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ნანა შავიძე (ტელეფონი: 299-11-24; 599-788-988; ელ. ფოსტა: nshavidze@economy.ge).

დანართი: მეოთხე სხდომის ოქმის პროექტი - 7 ფურცელი;
მესამე სხდომის ოქმის შესრულება - 8 ფურცელი.

პატივისცემით,

მინისტრის მოადგილე გენადი არველაძე